№2464 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

2015 წლის განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოსამსახურეების სამედიცინო დაზღვევის (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო), სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ, 2015 წლის განმავლობაში, სამინისტროს მოსამსახურეების სამედიცინო დაზღვევის (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**